ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2248316

ნომერი: AR1348826

თარიღი : 13.10.2015

გაცემის თარიღი : 19.10.2015

გაცნობის თარიღი : 21.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 67 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ლეჟავა პ/ნ 01024062576
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 48 კორ. 1 ბ. 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: თქვენს მიერ AR1316876 განაცხადით ატვირთული იყო დოკუმემტაცია, რომლითაც #01.10.13.041.001.01.001 საკადასტრო ერთეულზე (ბინის ფართზე) ითხოვდით სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფანჯრებისა და კონდიციონერის რეკონსტრუქციის) განხორციელებას. ზემოაღნიშნული ფართის მფლობელია მზევინარ კვირკველია, რაზეც გაიცა წერილობითი თანხმობა (გადაწყვეტილება №1980095 29.06.2015 წ.).შემდგომ AR1340408 განაცხადით მომართეთ სამსახურს შეთანხმებული ფოტომონტაჟის კორექტირებაზე, რაზეც დაგიდგინდათ ხარვეზები, სადაც ერთ–ერთი პუნქტი იყო მიშნებული ნაწილის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ამჟამად ახალი განაცხადით კვლავ მომართეთ სამსახურს, სადაც წარმოდგენილი გაქვთ ზემოაღნიშნული კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა ირკვევა, რომ ლეგალიზების ბრძანება გაცემულია #ლეგ–1762 09.06.2008 წ. გაცემულია სხვა ფართზე ს/კ #01.10.13.041.001.01.513 (I სართული და ანტრესოლი), რომელიც შემდგომ საჯარო რეესტრში ცალ-ცალკე დარეგისტრირდა (ანტრესოლი - ს/კ #01.10.13.041.001.01.519; I სართული - #01.10.13.041.001.01.518), რომლის მფლობელი ამჟამად არის შპს "ნატალი" (ძველი მფლობელი სერგო აბაშიძე). ასევე წარმოდგენილი გაქვთ ფასადზე არსებული გამწოვი მილის მფლობელის თამილა გოგატიშვილის თანხმობა, რომლითაც მზევინარ კვირკველიას აძლევს მილის მოხსნის უფლებას. ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციებში არისშეუსაბამობა, რაც იწვევს გაუგებრობას. მოიყვანეთ შესაბამისობაში და ატვირთეთ სწორი დოკუმენტაცია.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.